



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახათაძე ლუარსაბ ბორისის ძე

მახათაძე ლუარსაბ ბორისის ძე (11. VI. 1906, უიტომირი, – 13. V. 2003, თბილისი), მეტყევე. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1956), პროფესორი (1968), მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1929 დაამთავრა თსუ-ის აგრ. ფაკ-ზ. 1954-57 იყო ერევნის ბოტან. ბაღის დირექტორი, 1957-80 – ვ. გულისაშვილის სახ. საქართვ. სამთო მეტყევეობის ინ-ტის სატყეო გეობოტანიკის განყ-ბის გამგე, 1980-იდან – სამეცნ. კონსულტანტი. იკვლევდა საქართვ. ტყეების დინამიკურ მიმართულებებს, კავკასიის ტყის ტიპების ეკოლოგიურ-გენეტიკური კლასიფიკაციის საკითხებს. ავტორია სამეცნ. ნაშრომების. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.